ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

№ 1
იანვარი 1936 წ. ფასი 50 კ.




ნახ. გ. ისაევის

აი, აქ დროშით ერთ წელში ხუთი წლის მანძილს გავშორდი, შენ იცი რამდენით გადააჭარბებ!

# ახალი წელი კაპიტალისტურ ქვეყნებში

ნახ. ლონაძ

ეროვნული ბიბლიოთეკა




— იხეთ კვერცხზე დამსვეს, რომ უთუოდ წითელი ფერის ფრინველს გამოჩეკავს...

# ნიანგი მეკვლე

— ტუკ-ტუკ-ტუკ, კარი გამიღეთ, მეკვლე ვარ გალაღებული.
— რა მოგაქვს ნიანგ, მაგდენი ხონჩაზე დალაგებული?
— რა და ულევი სიამის ცნობები დანასტამბავი,
ჩვენი დიდი სამშობლოს გამარჯვებების ამბავი:
წინსვლა, ზრდა ძლევა, სიმტკიცე, ჯერ არავისგან ნახული,
უდიდეს მშენებლობისა მწვერვალი, გადალახული,
და საბჭოეთის დოვლათის ხვავი დამდგარი ზინათად—
ახალ, ბედნიერ ცხოვრების გზები რომ გადაგვიხნათ!

კარი გამიღეთ დატვირთულს, სამზიარულოდ მოვდივარ.
— რა მოგაქვს კიდევ მოგვიყევ, აგრემც სიკეთე მოგივა.
— უფრო დიდი ზრდის იმედი და აღმავლობის სათავე,
რომელთა მოთვლას ამ წელში — მე ვერც კი ჩამოვათავებ:
მომაქვს მეორე ხუთწლედის ძლევამოსილად დალევა,
რომლის მესამე წელშიაც ვასრულებთ რაც გვევალება:

სოციალიზმის შენება, უკლასო ქვეყნის აგება,
და კომუნიზმის საფუძვლის ჩაყრა და დადუღაბება;.
კოლექტივების სიმტკიცე, ზღვისოდენ მოსავალითა,
შვიდ-რვა მილიარდ ფუთ პურს რომ წელს მოვმკით მთლიან ძალითა.

ბამბა, თამბაქო, ციტრუსი, ჩაი თუ ჭარხალ-შაქარი,
უთვალავ რაოდენობით დახვავებულა, აქ არი.
რთული მანქანათა შენება, ტრაქტორებ-კომბაინები,
ნახშირი, თუჯი, ფოლადი — მთათა უმრავლეს ზვინებით,

ფართალი, სასმელ-საჭმელი, ყუათი, ნოყიერება,—
ბაზარ-აყვავებული უმდიდრეს სახე-ფერება,
კაპიტალისტურ ქვეყნების დაწევა, მათთვის გასწრება
(სულის მლაფავი ევროპა, ამაზე ნუღარ გასწყრება!)

მოსპობა ბარათებისა, ტორგსინის ლიკვიდაცია,
ფინანსიური სიმტკიცე—მტერთა გონების მტაცია.
ტექნიკას დაუფლებული მასების წინსვლა ულევი,
ალექსი სტახანოვისა შრომითი სასწაულები:

ძველი ნორმების დამსხვრევა—მტერთა დამსხმელი რეტი...
გეგმების გადაჭარბება—შვიდას-რვაასჯერ მეტისა,
ხელფასის ზრდა და მშრომელთა კულტურულ ყოფის მზე...
ცხოვრება სასიხარულო და სიხარულის მხნეობა.

— გამიღეთ, ნუღარ მახანებთ!
— კიდევ რა მოგაქვს?— გვახარე!
— სიცილი: ამდენ სიამეს და შვებას რახან მოველით,
ღიღილად გავზრდი ნიანგი—სიცილის სტახანოველი:

დაე, ვიცინოთ ჯანსაღი და ბედნიერი სიცილით,
რადგან ცხოვრება ჩვენია ნათელ, მგზნებარე მზის წილ...
ვიცინოთ მტერთა საგმირად, და მშრომელების სალხინა...
ვიცინოთ სიხარულისთვის—დუშმანს ჯავრის საწყენად.

ვიცინოთ, რადგან სიცილი-იარაღია ბრძოლაშიც,
და იუმორის ისარი უფრო გავბასროთ სროლაში,
რომ ახალ წარმატებების შემოქმედი და მპოველი,
მასების გვერდით ჩვენც ვიყოთ დამკვრელი სტახანოველი.

ფარსადანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს
ჩემი მხურვალე სალამი!
ხელში გვეჭიროს კვლავ მტკიცედ
შრომის და ბრძოლის ალამი!

ჩვენ გვყავს სტალინი მესაჭედ,
გზის მაჩვენებელ ბელადად
წითელი ჯარი გვდარაჯობს,
თავზე გვადგია მცველადა!

სანატრელ ახალ ცხოვრებას
დაკვრითი წესით ვაშენებთ,
ქალაქს და სოფელს თვალწარმტაც
ბაღ-ხეივნებით ვამშვენებთ!

თუმცა არ მყოფნის ძალღონე
მოგიძღვნათ ქათინაური,
მაგრამ იმიტომ ვბედავ, რომ
თქვენი ვარ მეც, — შინაური.

ამიტომ კიდევ მიიღეთ
ჩემი გულწრფელი სალამი,
თქვენი გმირობის საქებად
მუდამ მზადა მაქვს კალამი!

ეხლა მსურს თვალი მოვავლო,
თუ სხვა ქვეყნებში რა ხდება,
იქ ბევრი ჩვენი ნაცნობი
ჩემი „საკბილო“ გახდება.

უპირველესად ყოვლისა
მინდა შევეხო ფაშისტებს.
რომ დავივიწყო, თქვენც დამგმობთ
და აღარც მეტყვით „ბაშ-უსტას“.

მაგრამ არ ვიცი, „შემკობა“
მათი სიიდან დავიწყო,
აზრი აშკარად გამოვთქვა,
თუ ცოტა ტონი დავიცვა.

ამ პარტიაში ისეთი
ზოგი ბობოლა ითვლება,
რომლის შესახებ გულახდით
ვინ იცის რა არ ითქმება!

სახელიც რომ არ ვახსენო,
ნკითხველი თვითონ მიხვდება,
დამიზნებული ისარი
პირდაპირ გულში ვის ხვდება.

უხეშად თუ რომ შევლახე
თავმოყვარეობა ვისიმე,
ერთა ლიგას არ მიმართავს,
ეს დარწმუნებით ვიცი მე.

სიტყვა რომ ბანზე ავაგდო,
განგებ მივმართავ ამ ხრიკებს,
თავზე ცივი წყლის დასხმის დროს
ვახსენებ მე ცხელ აფრიკას.

თუმცა ტანკებით შესცვალა
მან „არიული“ ლაფშები,
მაგრამ ქეციან ვირივით
თვითონ ჩაეფლო ლაფშიც.

ერთიც, ევროპის შუაგულში
მსახურობს ბურჟუაზია,
ხარბი თვალებით გასცქერის
თავის მეზობელ „აზიას“.

ის თითქოს შეპყრობილია
უცნაურ რაღაც სენითა,
გიჟივით სულ გაიძახის:
„ხელები გამიხსენითა“.

უსაქმურ კაცზე ამბობენ —
კერასთან ნაცარს ქექავსო,
თვალებში მტვერის შეფრქვევას
ვერა გრძნობს, ვერა ხედავსო.

ზოგ „საქმის“ კაცზე ამბობენ:
სადღაც ერთ ადგილს იჩხვლიტებსო,
ზოგზედაც ასე ამბობენ:
წვენს ადენს ხოლმე ჭყინტ ყველსო.

ასეთი დევ-გმირებია
ფაშისტთა ის ბელადები,
რომლებიც, იქნებ, მკითხველო,
სხვა სახით შენ გელანდება.

* * *

მივესალმები, შორიდან,
გურითვე აბისინელებს,
რომლების ყოფნას ამ ქვეყნად
მუსოლინი ვერ ინელებს.

რამდენს ვიცინებ, მომხდურ მტერს
თუ უასრულა პირობა
და დაუფასა მუსოლინს
„სიჭაბუკე და გმირობა“.

* * *

ჩინეთში დაუბრკოლებლად
წინ მიდის იაპონია,
რადგან იმისთვის ეს მხარე
ჯერ კიდევ ლია ფონია.
მის შესახვედრად საბჭოთა
ჩინეთის წითელი ჯარი
გამაღლებული მიილტვის
როგორც ზღვის გრიგალი ქარი.
პირისპირ მათი შეხვედრა
ხვალ თუ არა ზეგ მოხდება...
გამყიდველ გომინდანელებს
მოხვდათ და კიდევ მოხვდებათ.

მაგრამ რაც დაემართება
გომინდანისთვის ახია,
სუნ-იატ-სენის პროგრამა
რადგან ნაფლეთად დახია.

ყველა მტაცებლებს ჩინეთში
ფონი ექცევათ ჩანჩქერად
და გასაქცევ გზის მოძებნა
მათ მოუხდებათ საჩქაროდ.

გაჩენის დღიდან ისინი
ვავიმეტი და შევწყერი.
გზას „დაულოცავ“, ვუსურვებ:
„წინ წყალი, უკან მეწყერი“.

ს. თ.-ძე

# ციტრუსებში

დამწყები „პოეტის“ წერილი ნაცნობ ქალიშვილთან.
ჩაისა და სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობას
ბაში ზის და ლექსს უძღვნის მკრეფავ ქალს.

სუბტროპიკებში ენახე,
მანდარინს რომ უვლიდი,
მზე გინათებდა სახეს
და გქონდა კარგი „ვიდი“

რა ჩაი გაგიშენე —
ბია მე ქალო ახე:
და სახე რომ მაჩვენე,
მაშინ კი დაგაფასე!

ხალიჩებივით ჩაი
გაფენილიყო ირგვლივ,
გულო, შენ საით წაი,
სად წაიყვანე ფიქრი?

აქით ლიმონის ტყეა,
იქით კი მანდარინის,
კრუგომ სულ სამოთხეა
და ფრუანტელი მიგლის.

დატრიალდები ისე,
როგორ[illegible]გინახავს ხვლიკი!
უფ არ[illegible]ქრო ლონდი,
შენ [illegible]გადარია თუ.

შორადლე მოვიდა, მაგრამ
შენ ჰაინც არ ისვენებ:
ტემპებს უმატებ მაგრად!
ეგ რა ყოფილხარ შენე?!

მე ვატყობ შეგვიყვარდა
ჩვენ უკვე ერთმანეთი.
ლიმონი დაგივარდა...
ა ცავა, მაჭამე ერთი!

ისე მიყურებ, თითქოს,
მე გიცან, შენ ვერ მიცან...
რომ არ იმეტებ, ვითომ
ეკონომიას იცავ?

შენი ნებაა, გქონდეს
ლიმონიც, მანდარინიც,
ქვაც მომაყარე, ლოდიც
თუ ამოვილე ლირიკა.

ახლა დირექტორს ვეტყვი,
მომცეს ახი ცალი,
მაგრამ რომ წავალ შენთან,
შენკენ დამრჩება თვალი...

ალლარ-ალლარხან.

## „არიული სამართალი"

ნახ. ა. კანდელაკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რად სჯიან ამ მოქალაქეს?
— საშინელი საქმე ჩაიდინა: ხანძარი ჩააქრო წიგნთსაცავში, სადაც ექვსი არაარიული წიგნი აღმოჩნდა.

# პაჭაკი ნიანგს

თანახმად შენი დავალებისა მე შემოვიარე ზოგიერთი უცხო ქვეყნები, სადაც შევკრიბე ჩვენთვის საჭირო მასალები, რომელთა მოწოდებას ვიწყებ.

1.

პირველად მე ჩავედი **სიცილიაში.** თუ ცნობილ მკვლევარ ლევარსი როხროხაძეს დავუჯერებთ, სიცილია იმიტომ ჰქვია ამ კუნძულს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მუდამ იცინიან, მხიარულნი არიან, აქ მუდამ სიცილია.

მაგრამ ასე როდია ახლა.

მას შემდეგ, რაც იტალიამ აბისინიას ომი გამოუცხადა და იტალიელებს ამდენი უბედურება დაატყდა თავს, ამ კუნძულიდან გაქრა სიცილი და მხიარულება. ახლა ამ კუნძულს უფრო შეეფერება, რომ მას **სიცილიის** მაგიერ **ტირილია** ერქვას, კუნძული საომარ ბაზად არის გადაქცეული.

2.

შენ ჩემზე უკეთ გეცოდინება, რომ **ხმელთაშუა ზღვა,** რომელიც ხმელეთის (ე. ი. მიწის) შუა მდებარეობს (და ამიტომაც ჰქვია **ხმელთაშუა ზღვა)** ამჟამად მთელი მსოფლიოს შუა საკითხად არის გადაქცეული. ამ ზღვაში უამრავი კუნძულებია, რომლებიც ზოგი იტალიას ეკუთვნის და ზოგიც—ინგლისს. ყველა ესენი სამხედრო ბაზებად არის გადაქცეული. შენს მტერსა და ორგულს, თუ ომი დაიწყო იტალია ინგლისს შორის, ისე დასცხებენ ერთმანეთს წინ და ზურგიდან, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.

3.

აქედან წავედი დიდ ანუ **წყნარ** ოკეანეში, დიდი რომ ჰქვია, ეს სამართლიანია, მართლაც დიდია. მაგრამ რატომ ჰქვია წყნარი, არ ვიცი. წყნარი კი არა, ასეთი აფორიაქებული ოკეანე ამჟამად სხვა არ არის. იაპონიისა და ამერიკას მთელი ოკეანე გაუვსიათ კრეისერ-დრედნოუტებით და რა წუთში დასცხებენ ერთმანეთს, არც თვითონ იციან. წყნარი ოკეანე თხოულობს სახელის გამოცვლას, სურვილი აქვს უწოდონ მას — დიდი და მშფოთვარე ოკეანე.

მე მგონია წინადადება მისაღებია.

4.

აქედან ბრაზილიაში ამოვყავი თავი.

ბრაზილიის ისტორია მდიდარია **ბრაზებით** და ბრძოლებით. მცხოვრებლები **ხშირად უბრაზდებიან** მთავრობას და ჯანყდებიან.

ამიტომაც ჰქვია თურმე **ბრაზილია.** (წარმოსდგება სიტყვიდან ბრაზი). ახლახან ჩააქრეს ერთი აჯანყება, მაგრამ ბრაზი ისევ გუბდება ხალხის გულში და ისევ მალე იფეთქებს აჯანყება.

5.

აქვე არიან ახლოს **პარაგვაი** და **ურაგვაი.** ამათი სახელწოდება წარმოსდგება თურმე ვაისაგან. ესენი თურმე ხშირად უბრაგუნებდნენ ერთმანეთს ზურგზე. ხან მეგობრობენ, ხან მტრობენ ერთმანეთს. რესპუბლიკები ჰქვია, მაგრამ დიდი ფერმერების ბუბლიკები უფრო არიან, ვიდრე რესპუბლიკები. აქ ახლაც გაიგონებთ ხალხში სიმღერას:

პარაგვაი
ურაგვაი,
ერთმანეთის
არის ვაი

ჯერჯერობით ეს იყოს, - ამხანაგო ნიანგო, და მერე სხვა ამბებს მოგწერ.

**ხეფერა**

# წიგნთსაცავში

ნახ. თ. შმერლინგის

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მომეცით „დორიან გრეის პორტრეტი!"
— არა გვაქვს. პორტრეტებს, საერთოდ არ ვლებულობთ.

## მიზეზი

(სახუნტის ბუფეტში)

— რა ღირს მაწონი?

— უშაქროდ 70 კ. შაქრით — 90 კ.

— ე. ი. 20 კაპიკისაა იმ სარწყავით გაზომილი შაქარი, ხომ?

— დიახ!

— ამ რაოდენობის შაქარს თქვენ ჭიქა ჩაიშიც ყრით, რომელიც სულ 15 კაპ. ღირს, რატომ ხდება ასე?

იმიტომ, რომ ჩაიში და მაწონში ჩაყრილ შაქარს სხვადასხვანაირი გემო აქვს!

რახი

## პროფკავშირული არაკი

„დალაქტრესტს" ერთი ადგილკომის თავმჯდომარე ჰყავდა. სახელად ლადოს ეძახდნენ, გვარად ხიძე იყო. ერთხელ უბედურება რამ დაატყდა ხიძეს: ძილში ვიღაც საზარელი მოქალაქე ეჩვენებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ამუშავებდა: ხან აგურებს აზიდვინებდა, ხან მატყლს აწეწვინებდა და ვინ იცის რას არ აკეთებინებდა. შეწუხდა ადგილკომობის ოთხი წლის სტაჟის მქონე, მუშაობას გადაჩვეული ლადო ხიძე, დიდხანს ითმინა და ბოლოს ცოლს გაუზიარა თავის გაჭირვების ამბავი.

— ეშმაკი შეგჩენია — გამოიცნო ცოლმა, — გიბრძანოს თუარა „იმუშავე"-ო, უთხარი, რომ ერთი წყვილი ქალოში გიშოვნოს გასამრჯელოდ. სხვა არაფერი მოსთხოვო, თორემ გიშოვნის სადმე და გამუშავებს...

ეწვია ხიძეს ეშმაკი, მოიტანა საჩეჩელი და აუჩეჩელი მატყლი, უბრძანა ლადოს მატყლი დაეჩეჩნა და თვითონ თავზე დაადგა მბრძანებელივით.

— ჩემი საქმე არ არის მატყლის ჩეჩვა, მე ადგილკომის თავმჯდომარე ვარ, მაგრამ

პროფკავშირული არაკი ______ დასასრული.

თუ კეთილინებებ და გასამრჯელოდ ერთ წყვილ კალოშს მომიტან, თხოვნას შეგისრულებ.

გაუხარდა ეშმაკს, ახტა, დახტა, საიდანღაც გადამყიდველის ტანსაცმელი გააჩინა, ჩაიცვა. გაქანდა უნივერმაღში და ორი წყვილი კალოში მოურბენინა ლადოს.

— მართლა ეშმაკი ყოფილა! — იფიქრა ლადომ და შეუდგა მატყლის ჩეჩვას.

მცირე ხნის შემდეგ ისევ ეშმაკს მიმართა:

— მოდი, ამხანაგო, ერთი კარგი სანაძლეო დავდვათ და ვინც დამარცხდება, იმან დაჩეჩოს მატყლი.

ეშმაკმა თანხმობა გამოუცხადა. დანაძლევდნენ: ჯერ ეშმაკი უნდა შემჯდარიყო ხიაძის ზურგზე და რაიმე წაეკითხნა. შემდეგ ხიაძე შესჯდებოდა ეშმაკს და ისიც ისევე უნდა მოქცეულიყო. ვინც ვერ გაუძლებდა ტვირთის ატანას, დამარცხებულიც ის იქნებოდა.

შესჯდა ლადოს ეშმაკი ზურგზე, გადაშალა გაზეთი და ადგილკომების ცხოვრების ამბების კითხვა დაიწყო. ჯერ ოცი სტრიქონიც არ ჰქონდა წაკითხული, რომ ხიაძეს ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როდესაც რაღაც ექსკურსიის შესახებ მოთავსებულ მასალის კითხვა დაამთავრა ეშმაკმა.

ახლა ხიაძე შესჯდა ზურგზე ეშმაკს, გადაშალა ადგილკომის ერთი კრების ოქმი და დაიწყო კითხვა. სამ დღე-ღამეს გაგრძელდა ამ ოქმის კითხვა და მაინც ვერ დამთავრდა. დაიღალა ეშმაკი, ცდილობდა რაიმე გამოეგონა და ხიაძე ზურგიდან გადაეგდო. როცა ხიაძე იმ ადგილამდის მივიდა, სადაც გეკოს სისტემის თოფის ყიდვაზე იყო ლაპარაკი, ეშმაკმა ხერხი იხმარა: ხიაძე ზურგიდან გადმოაგდო და მიმართა:

— იყიდეთ თოფი?

— დიახ ვიყიდე.

— მერე რას შვები ამ თოფი?

— როგორ თუ რას ვშვრები? აქტიური ვარ, ისე ხომ არ გავჩერდები! ბაღში ჩიტებს დავდევ, ნიშანში სროლას ვსწავლობ და გემრიელ ხორცსაც ვშოულობ.

— უსაქმო ყოფილხარ, და მატყლის ჩეჩვაზე კი უარს მეუბნები, ეგ არის შენი აქტივობა?

— შენ აგრე გგონია! ერთ ჩემ თანამშრომელს თერთმეტი თვის პროფსაწევრო აქვს გადაუხდელი და დღეში სამ საათს მარტო იმის უკანდევნას ვუნდები. ამდენ საქმიანობაში ისე ვარ გამოყრუებული, რომ იმ დღეს, სატრფოსთან გასაგზავნ წერილის კონვერტსაც კი პროფსაწევროს მარკა დავაკარი.

— როგორ, მიჯნურიც გყავს?! — იკითხა ეშმაკმა.

— კი, ძალიან მიყვარს, ლამაზია. მაგრამ ამ ბოლო დროს მშობლები ჩამოუვიდნენ სოფლიდან და სახლში ველარ მივდივარ მასთან.

— რომელი კავშირის წევრია შენი სატრფო?

— არც ერთის. რად უნდა კავშირის წევრობა, თვითონ ღებულობს სხვებს კავშირში, ადგილკომის თავმჯდომარეა.

— თუ მატყლს დამიჩეჩავ მე მიგიყვან შენს შეყვარებულთან, ისე, რომ მისმა მშობლებმა ვერა გნახონ.

— არა ცრუობ? — წამოიძახა აღტაცებულმა ხიაძემ.

— ადგილკომი ვიყო თუ მოგატყუო, — დაიფიცა ეშმაკმა.

ხიაძე დასთანხმდა. წაიყვანა ეშმაკმა და დაპირებულ ადგილს მიიყვანა. ქალის მშობლები სახლში არ იყვნენ და ხიაძე განცხრომით მოეხვია სატრფოს. ეშმაკმა გარედან ჩაუკეტა კარები და წავიდა.

ჯერ ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ კარებზე ქალის მშობლებმა მოაკაკუნეს და სწორედ ამ დროს გამოიღვიძა ხიაძემ. ნახა, რომ საკუთარ კაბინეტში იჯდა. უსაქმოდ მყოფს მაგიდაზე ჩასძინებოდა. კარებზე კი მართლაც აკაკუნებდნენ. წამოდგა, კარები გაალო და ადგილკომის ოთახში სარევიზიო კომისიის წევრები შემოვიდნენ...

ზ. ივანიშვილი.




მთელ ოჯახს შეშინდა, როცა მოხუცი ტომასი, დილით სახლიდან ადრე წასული, შუადღეზეც არ დაბრუნდა შინ.

— ცუდი არაფერი განეზრახოს? — გაიფიქრა ცოლმა, რომელიც ქმარს ატყობდა, რომ:

— ეს ერთი ხანია კაცი გაშეშებული დადის, არაფერის ხალისი არა აქვს!

გამოსწია თუ არა მაგიდის ყუთი, წერილი ნახა. წაკითხვამდე მიხვდა, რომ მის თავზე უბედურება ტრიალებდა. მართლაც ასე იყო. ტომასს წერილი დაეტოვებინა:

„ჩემო ძვირფასნო და საყვარელნო ცოლო და შვილნო. როცა თქვენ ამ წერილს წაიკითხავთ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. მე აღარ შემიძლია ამდენი გაჭირვების ატანა, ამდენი ხნის უმუშევრობა. სახლში იმიტომ არ ვიკლავ თავს, რომ დასაფლავების ხარჯები აგაშოროთ. უჩალად იყავით. გაუძელით გაჭირვებას. მე არ მომბაძოთ“.

თქვენი ტომასი.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა.

ხალხი აფრინეს აქეთ-იქით ტომასის საძებრად.

* * *

როცა ტომასი სახლიდან გამოვიდა, ქუჩაში სამგლოვიარო პროცესია შეხვდა.

— ალბათ ორი-სამი დღის შემდეგ მეც ასე გამასვენებენ! — გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე მოაგონდა: — არა [illegible] გამასვენებენ, როცა ჩემს გვამს [illegible]ლებს და ვერავინ მნახავს!

ამ გარემოებამ ტომასი კიდევ უფრო დაალონა. კაცი სიკვდილის შემდეგაც იკარგებოდა. ძალიან შეაშინა ტომასი ამ ფიქრმა.

— თავი მოიკლა, თუ მოკვდა? — ჰკითხა მან პროცესიის მონაწილეს, რომელსაც გაუკვირდა ასეთი შეკითხვა, მაგრამ პასუხი მაინც არ დაიზარა:

— მოკვდა!

— ყოჩაღ რა ბედნიერი ყოფილა! — შეშურდა ტომასს მიცვალებულის ბედნიერება.

იგი რკინის ხიდისკენ მიდიოდა.

იქ მყუდრო ადგილი ეგულებოდა.

გაზეთებშიაც ხშირად წერდენ თვითმკვლელობის შესახებ და ყოველთვის რკინის ხიდს ასახელებდნენ.

— არავისთვის არაფერი წამირთმევია, არც რამე დამიშავებია. მაშასადამე მე შემიძლია სრულიად გულდამშვიდებით მოვკვდე და თამამად წარვსდგე ღვთის წინაშე! — ფიქრობდა და უხაროდა ტომასს.

მაგრამ მას მოაგონდა, რომ მთავრობის ემართა 50 სტერლინგი, რომლითაც იგი დააჯარიმეს გადასახადის დაგვიანებით შეტანისათვის.

— როგორმე სადმე ვიშოვნი 50 სტერლინგს, გადვიხდი ამ ვალსაც და მერე მოვიკლავ თავს! — გაიფიქრა მან, მაგრამ როცა ყველა ნაცნობები გაცხრილა და ყველამ უარი უთხრა, გული გაიკეთა და გაიფიქრა: — თანაც შინ ახლა ყველას წაკითხული ექნებათ ჩემი წერილი და უკვე შერიგებული იქნებიან, რომ მე თავი მოვიკალი! — და მან მოუჩქარა ხიდისაკენ, რომ თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

* * *

ბევრი ეძებეს, მაგრამ ტომასი ვერსად ნახეს.

ოჯახი დაჯდა სატირლად.

მეზობლები მოდიოდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ ჭირისუფალთ.

ასეთი გლოვა იყო ოჯახში, როცა მეზობლის გოგონა შემოვარდა ოთახში და ამბავი მოიტანა:

— ძია ტომასი მოდის. ძალიან მხიარულია, სახეზე ღიმილი არ შორდება, ალბათ სამუშაო იშოვნა!

ყველას ეგონა, რომ ბავშვი სტყუოდა.

მაგრამ აი ეზოში მართლაც ჩამოვიდა ტომასი და მართლაც ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს.

— ან სამუშაო აქვს ნაშოვნი, ანდა ჭკუიდან შეშლილია! — გაიფიქრა ცოლმა და ქმარს მიეგება კარებში.

— გამომიტირეთ ხომ? ალბათ ჩემი წერილი ნახეთ! — შეატყო ტომასმა თავისიანებსა და მეზობლებსაც.

— ტომას, არა გრცხვენია, გენაცვალე, რომ შიშით დაგვხოცე მთელი ოჯახი? გაგონილა, ჩემო ბიჭიკო, ასეთი ხუმრობა? — ახალგაზრდა ქალივით ეალერსებოდა მოხუცი ცოლი ტომასს.

— არ მიხუმრია, მტკიცე გადაწყვეტილებით წავედი, მაგრამ ხელი შემიშალა ერთმა მდგომარეობამ.

— ღმერთმა ნუ აშოროს ჩვენს ოჯახს ისეთი მდგომარეობა! — ინატრა ცოლმა.

— ნუ სწყევლი ოჯახს. მე მიხსნა იმ მდგომარეობამ, რომელმაც მაიძულა თვითმკვლელობა გამეზრახა.

# გადაჭარბებული შურისძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. — ჯოგინია

...ანუ როგორ „უსწორდებიან“ გაზეთების დამტარებლებს ეზოს ძაღლები სტალინისრაიონში (ტფილის.).

— დავილუპე, აღარ იცის რას ლაპარაკობს, ჭკუაზე არის მწყრალად, ალბათ იმიტომ ილიმებოდა! — ელდა ეცა ცოლს.

— ეს მდგომარეობა არის ჩვენი უბედურება, ე. ი. უფულობა; რომელმაც მე მაიძულა გამეზრახა თვითმკვლელობა და რომელმაც მაიძულა ამ განზრახვაზე ხელი ამეღო. — თავისას ამბობდა ტომასი.

— ჰო, კარგი, ახლა დამშვიდდი. დაწექი! — არ ეშვებოდა ცოლი, მაგრამ ტომასი ლაპარაკის ხასიათზე იყო და თავს მშვენივრად გრძნობდა.

— შენ არ გჯერა რასაც გეუბნები. ანდა როგორ უნდა დაიჯერო, როცა კარგად ვერ გამიგე. ყური მიგდეთ და გიამბობთ.

* * *

თავი უნდა მომეკლა რკინის ხიდის ქვეშ, სადაც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე თვითმკვლელობა.

ფეხაკრეფით მივედი, რომ არავის დავენახე.

ის იყო წყალში უნდა გადავმხტარიყავი, რომ ვილაცამ ზურგში ხელი მტაცა და მომაბრუნა.

— დავილუპე კაცი, გადმარჩინა! — გავიფიქრე და შევხედე.

შევხედე, მაგრამ ვის შეხედავ? პოლისმენია.

— ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება? —

— გაჭირვებამ! — მეც მრისხანედ ვუპასუხე.

— წაიკითხე ეს განცხადება! — და მან ცხვირი მიმადებინა ფიცარზე, რომელზედაც შემდეგი განცხადება იყო:

**თვითმკვლელობისათვის ჯარიმა 50 სტერლინგი.**

— გაქვს ეს ფული რომ თავის მოკვლას აპირებ? — ანთებული თვალებით ჩამხედა პოლისმენმა თვალებში. — ეს ფული რომ მქონოდა, მთავრობის ჯარიმას გადავიხდიდი, ანდა თავს შემოვუძახებდი და თავის მოკვლას არ განვიზრახავდი.

— მაშ ნისიად გინდოდა თავი მოგეკლა? სად უნდა გდიო?

— გეთაყვა, ეს მაინც მითხარი, ვის ხმარდება აქედან შემოსავალი ფული? — შევეკითხე პოლისმენს.

— პენსიონერებისა და უმუშევრების სასარგებლოდ მიდის.

— ეს მე ორივე ვარ და ნუთუ შეღავათი არ უნდა მქონდეს?

— მოქალაქე, არავითარი შეღავათი. ნაბრძანები მაქვს ნისიად არავის მივცე ნებართვა! — მითხრა მან და გამომაბრუნა.

ხიდზე რომ გამოვედი, ძველი ნაცნობი შემხვდა.

— სამი დღის ვადით მასესხე 50 სტერლინგი! — ვსთხოვე მას.

— დამასწარი. მე შენთვის მინდოდა მეთხოვნა. მეორე და როგორ მჭიროდა! — მითხრა მან.

— ჩემზე მეტად?

— უფრო მეტად.

— მაინც?

— თავის მოკვლა მინდოდა. მაგრამ ჯარიმა შემოუღიათ 50 სტერლინგი. აი ამისათვის მინდოდა.

— მეც მაგისთვის მინდოდა!

— ხა-ხა-ხა-ხა! — ორთავეს გაგვეცინა.

ეს სიცილი იყო, რომ სახლში შემომყვა.

**ისელი**

# ახალი ანბანი—

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავლაბარში თეატრია
ახლად აშენებული,
ფასადი აქვს როხროხაძის
ჭრილით "დამშვენებული"




ექიმი, მასწავლებელი
ხმაშეწყობილად მღერიან:
"ჩვენს ხელფასს სხვები ხრავენ და
სახელი. მარტო. ჩვენია.




კინოს ხშირი სტუმარი ვარ,
გეუბნებით სიმართლეს,
მაგრამ ერთი სეანსის დროს
ცხრაჯერ სწყვეტენ სინათლეს




ბარომეტრი შევიძინეთ,
გული აღარ გვისვენებს,
დარში ავდარს, ავდარში კი,
მზიან ამინდს გვიჩვენებს,




"ვედრო" წყალი ჩაურიეს
"ცსოკში" მისულ მურაბას,
გამგე "განზე იყურება",
თვალი გადაუნაბავს.




ლიტერატურულ ფრონტს ვეტრფი,
კამათი გვაქვს ხშირი, —
ერთ დისპუტზე გამოველი,
გამიტეხეს ცხვირი.




გაზეთს თესდა შარშან ფოსტა,
ფოსტა თესდა ჟურნალებს,
ეს თუ წელსაც განმეორდა
"ნიანგი" "უმკურნალებს!"




ზოგიერთმა თუ დასწერა
ჩვენში ორი აბდა-უბდა,
კრიტიკოსად თავი მოაქვს,
იბერება, როგორც გუდა.




მოლარენი ყავს რკინისგზას
ედუკი და არითა,
ცხრაჯერ გავსწერეთ "ნიანგში"
"მორჯულება" არ იქნა!




"დამისხი, დამალევინე"
ღვინო, დავსცალოთ ფიალი,
თუ "ცსოკის" მარკა ზედ აკრავს
წყალია ოხერ-ტიალი.




ისეთი ქალი ვერ ვნახე
არ უყვარდეს მოდა,
ამ მიზეზით ვნახე ქმარი
სახლიდან გარბოდა.




ნატანეთთან მისულ ავტოს
უფუჭდება "ვიდი",
საქავზატრანსტ, მოგაგონებ.
ააშენე ხიდი.

## --თა-ქება

ილუსტრაცია ლონის და გ. ინაევის.



ორივ ფეხით დავდიოდი
ქუჩაში და ბაღში,
ერთი დამრჩა გამოსვლისას
ჩვენს უნივერმაღში.



ტოლნი არიან
სწორნი არიან
ერთად დადიან
დაიმღერიან



ცარიელი ვიყავ სახლში
ახლა კი ვარ სავსე,
ცხოვრის ნიჟრად დავაცლებ,
სიძე ათანასე.



პატეფონებს ვამზადებთ,
ხმა აქვს არ შესადარი,-
გვიპასუხე "მუზტრესტო"
ფირფიტები სად არის?




უნდა ეგე ზოგ აფთიაქს
და მოაძრო დარაბა,-
რადგან მასში წამლის შოვნას
უნდა დაეიდარება.




ჩვენსა კინომრეწველობას
ეკადრება ქება
დაავიწყდა ბავშვებისთვის
ფილმის გამოშვება.



რადიოთი კონცერტს ვისმენთ
მე და ჩემი გულჩინაო,
ერთ პროგრამას იმეორებს,
მოგვიშალა "პრუჟინაო".



ფაბრიკა გვაქვს ცნობილი,
ეწოდება "მკერავი",
სულ სტანდარტულს გვიკერავს,
ვერ მოერიკა ვერავინ.



ძრუილიდან გაგაძევეს
"დირექტორი" სიმაო,
ვის "ამშვენებ" სახრამოვ-ჯან,
თვალს უშტერებ ვისაო!




სანაოსნოდ ივარგებს
ზოგან სოფლის გზები,-
სოფლის საბჭოს კი სძინავს,
თვალი მინაბებია



ყველაფ იყოს, წიგნებსა სცემს
ჩვენი "ფედერაცია",
მაგრამ ისე ძვირს ჰფასებს
ვერ მისწვდება კაცია.



წერილებ გადის უკვე,
საქმის "წაღმა" წამმართველო,
აპარატს გთხოვთ, არ გვადირსა
ავ-ფლ-ტარის სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საექიმო ექიმები



## პირველი დღე

**რაიონის ექიმი (ავადმყოფს):** — როდის გახდით ავად?

**ავადმყოფი:**—დღეს!

**ექიმი (ერთს ჩახედავს თვალებში):** შენ, ჩემო ძმაო, არაფერი არ გტკივა!

**ავადმყოფი:**—როგორ არა, ექიმო, ყელიც მტკივა და ტემპერატურა 39 გრადუსამდე აღის.

**ექიმი:**—მერე სიცხეს რა ჭკუა აქვს მეტიც რომ გქონდეს, შეიძლება, თუ ყელიც გტკივათ, აუცილებლად ანგინა იქნება, ისე (ლოცხალი) გამოხედვა გაქვს, ნუ შეშინდები, ხვალვე ადგები.

**ავადმყოფი** (უჩვენებს ტახტზე თითით) — აი,იმ ბავშვს დღეს ქუნთრუშა აღმოაჩდა. ვშიშობ, მეც თუ მჭირს-მეთქი.

**ექიმი** (შეშინებული წამოდგება ფეხზე და ნოშორებით დგება):— ქუნთრუშა? რას ამბობ კაცო! აქამდე რად არ მითხარი?! (თავისთავის) ვაიმე ცოლშვილო! (ავადმყოფს) ალბათ შენც ის გჭირს! აბა, შემომხედე ერთი! (განმეორებით ჩახედავს თვალებში). სულ ქუნთრუშიანივით იხედები, ჩემო ძმაო, შენ ნაღდად ქუნთრუშა გჭირსს. (ექიმი ტრიალებს ერთ ადგილზე და შიშისაგან ველარ ჯდება), მერე და იცით ეს რა საშინელი ავადმყოფობაა? მართალი გითხრათ, ძალიან ვერიდები.....

**ავადმყოფი:**—რომ დარწმუნდეთ, გამსინჯეთ ტანზე, ამას ხომ თავისი შესატყვისი სიწითლე აქვს!

**ექიმი:** — არა ძმაო (შეეშინდება ხელის შეხება). რაღ უნდა გასინჯვა, სიცხე, ყელის ტკივილი და ასეთი თვალები საკმაოდ მიმანიშნა, რომ თქვენს ავადმყოფობას ქუნთრუშა დავარქვა. მეც რომ ტყვილად დამსვაროთ, არ ივარგებს, ბავშვების პატრონი კაცი ვარ. თუ მე არ მიჯერებთ, სხვა ექიმს გამოვგზავნი. ის უფრო დაადასტურებს. (ქუდს დაიხურავს და ისე ერთბაშად მოსხლტება კარებში, რომ წამლის გამოწერაც ავიწყდება).

## მეორე დღე

**მეორე ექ:**— გადმომცეს, რომ თქვენ ჩითულ ფორმებში ქუნთრუშა გჭირთ. მართალია თუ არა?

**ავადმყ:**—რა საჭიროა კითხვა, გამსინჯეთ და დარწმუნდით.

**ექიმი** (ესეც შიშის გამო ვერ ჯდება): — გადაიხადეთ საბანი, (ავადმყოფი იხდის): ფეხები გტკივათ?

**ავადმყოფი:**—არა!

**ექიმი:**—როგორ ხართ მუცელში?

**ავად:**—კარგად

**ექიმი:**—რამდენი სული ცხოვრობთ ამ ოთახში?

**ავადმ:**—ოთხი!

**ექიმი:**—რა გვარი იყო ამ სახლის პატრონი?

**ავად:**—არ ვიცი!

**ექიმი:**—ამ ბავშვს რა ჭირს?

**ავად:**—ქუნთრუშა!

**ექიმი:**—ჰოდა თქვენც ის გჭირს ჩემი დაკვირვებით.

**ავად:**—რომ ტანზე არ მეტყობა?

**ექიმი:** — ჩემის რწმენით ტანიც წითელი გაქვთ.

**ავად:**—როგორ თუ წითელი, ვერა ხედავთ ქაღალდივით თეთრია? (უჩვენებს ტანს).

**ავად:**—მე პროტესტს ვაცხადებ!

**ექიმი:**—მაშინ მე კონსულტანტ ექიმს გამოვგზავნი და მისი დიაგნოზი საბოლოო და ურყევი იქნება (მიდის).

## მესამე დღე

შემოდის კონსულტანტი ექიმი. თავს მედიდურად იჭერს, თითქოს არაფერი იცის აქაური მდგომარეობის შესახებ.

**ექიმი:**—როგორ ატყობთ თავს?

**ავად:**—დღეს ყელი აღარ მტკივა, სიცხეც აღარ მაქვს, ვფიქრობ, ანგინა მჭირდა.

**ექიმი:** (იცინის):—რა კადნიერი ვინმე ყოფილხართ; სრულებითაც არ აქვს მნიშვნელობა, მოქალაქე იმას, რომ თქვენ სიცხე არ გაქვთ, არც იმას, რომ თქვენ ყელი არ გტკივათ, არც იმას, რომ თქვენ ტანზე წითლად არ გამოგყარათ და არც სხვას. აქ ინფექცია არის და თქვენი ქუნთრუშა არ ემგვანება ჩვეულებრივ ქუნთრუშას. მაგრამ ჯერ ვნახოთ, რომ დიაგნოზი შემდეგ დავსვათ. (ავადმყოფს უკეთებს თერმომეტრს) სიცხე 38 გრადუსია!

**ავად:** (აღელვებით):—როგორ ექიმო! მე ახლა გავისინჯე ჩემი თერმომეტრით და ნორმალური სიცხე მქონდა.

**ექიმი** (იცინის):—უნდა დაიჯერო, რომ შენი თერმომეტრი სწორად ვერ გიჩვენებს. რადგანაც ქუნთრუშა ინფექციური ავადმყოფობაა და ამით მთელი ოჯახი დაავადებულია, დღესვე გადაგიყვანებენ მთლიანად საავადმყოფოში და იქ მოგათავსებთ იზოლირებულად.

**ავად:**—როგორ ექიმო, თქვენ ჯერ დიაგნოზი არ დაგისვამთ, არ იცით დანამდვილებით რა მჭირს და გინდაც იქ ძალით შემყაროთ ავადმყოფობა? მე ავად აღარ ვარ, თავს კარგად ვგრძნობ, ბავშვის გადაყვანა კი აუცილებელია.

**ექიმი:**—ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, თქვენი ოჯახი დღეიდან საავადმყოფოში გადავა 40 დღე იქ იქნებით, განიკურნებით და ერთად დაბრუნდებით.

**ავადმ:**—პროტესტს ვაცხადებ, ამხ. კონსულტანტო! თქვენ ჯერ დიაგნოზი არ გაქვთ დასმული და მორჩენილ ადამიანს საავადმყოფოში მგზავნით.

**კონს:**—რაც გინდათ ის გააცხადეთ, ხვალე კარეტა მოვა და მზად დახვდით. ნებით არ წახვალთ, ძალით წაგიყვანთ. (მიდის).

## ქალაქის პირველ საავადმყოფოში

**ექ. თანაშ:**—ეს ქუნთრუშიანების პალატაა, თქვენი საწოლიც აქ იქნება.

**ავად:**—არ მჭირს ქუნთრუშა, გენაცვალე, და სხვა ოთახში დამაწვინეთ.

**ექ. თან:**—თავისუფალი პალატა არა გვაქვს, და დირექტორის კაბინეტში ხომ არ დაგაწვენთ? წესი ასეთია, თქვენ ქუნთრუშიანებთან უნდა დაწვეთ.

**ავად:**—კარგი, მაგრამ ამ ყინვაში საზაფხულო საბანში როგორ გავძლო, მომიმატეთ რაიმე.

**ექ. თან:**—თუ ძმა ხარ, ნუ ვაჭრობ. გაიხადე და დაწევი, თორემ დამლაგებელ ქალს დაუძახებ და ის ძალით გაგხდის.

**სხვა ავადმყოფები** (ფერწასულნი სიცივისაგან, ვიდრე ავადმყოფობისაგან):—ლუმელს რად არ გვინთებთ? უსაბნოდ და უცეცხლოდ ვიხოცებით. გავასაჩივრებთ თუ გადაგვრჩით.

**ექ. თან:**—დაჩუმდით, ხომ იცით ჩვენს ხელში ხართ! დირექციის განკარგულებაა სითბოს ენერგიის დაზოგვა და ჩვენც მას ვასრულებთ. ავადმყოფების შენიშვნებს ჩვენ ყურადღებას ვერ მივაქცევთ, თქვენთვის უმჯობესია მოთმინება.

## მეოთხე დღე

შემოდის ექიმთა კომისია; გულდასმით სინჯავენ ახალ ავადმყოფებს და ერთი მეორეს განცვიფრებით უცქერიან.

**უფ. ექ:**—თქვენ აქ ვინ გამოგგზავნათ?

**ავად:**—კიროვის რაიონის ექიმებმა!

**უფ. ექ:**—რატომ?

**ავად:**—დასაწვენად, როგორც ქუნთრუშით დაავადებული.

**უფ. ექ:**—კარგად გაგსინჯეს?

**ავად:**—არა, შორიდან სვამდენ დიაგნოზს, ახლოს მოსვლა ეშინოდათ.

**უფ. ექ:** თქვენ თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ წახვიდეთ. ავად არ ხართ.

**ავად:** (კიროვის სახ. რაიჯანგანს):—გმადლობთ მოწყალენო ექიმნო, რათა ასე სასწაულებრ განმკურნეთ მე მკურნალთა მაფრთხობელა ჭირისაგან.

**მალამო.**

# მეგობრული შარჟები

ნახ. მ. ჭიაურელის.



ცეცხლის ხმა ვუძღვენ ოქტომბერს
„არ ავად გამორჩეული,"
განი მომეცით, ბიჭებო,
დრამატურგი ვარ რჩეული.

---

# ამხანაგო ნიანგო!

მიუხედავად იმისა, რომ 26 კომ. სახ. კინო-თეატრის სალაროსთან ასეთი წარწერაა გაკრული: „თანახმად განსახკომის დადგენილების, კინოში, ბავშვები ხუთმეტი წლის ქვემოდ არ დაიშვებიან"-ო, მაყურებელთა უმრავლესობას მაინც მცირეწლოვანი ბავშვები წარმოადგენენ. გამგეს რომ შეეკითხნენ „რატომ ზომებს არ ღებულობო" ასე უპასუხა:

— მე რა ვქნა, უჭკუო ბავშვები არიან და განსახკომის დადგენილებას არ ასრულებენო...

საკვირველი არ არის, რომ მიუხედავად დადგენილებისა მცირეწლოვანი ბავშვები მაინც ეტანებიან კინო-თეატრს, მაგრამ როგორ არ გავიკვირვოთ, როცა საქკინოს, კინო-თეატრის გამგედ „ბავშვი" დაუნიშნავს?!

შენ რაღას იტყვი ამხ. ნიანგო?

ავლაბრელი.

**ამხ. ნიანგო!**

მალაროსკარის სამკითხველოს საუკეთესო წიგნები გააჩნდა, მაგრამ ვინაიდან სამკითხველოს გამგეს სამსახურებრივი სინდისი არ გააჩნდა, წიგნები ვირთხებს ჩაუვარდათ ხელში. ვირთხებმა, კითხვით რომ დაიღალნენ, ჭამა დაუწყეს წიგნებს. შეწუხდნენ ჩვენი მასწავლებლები: გელოვანი, მაისურაძე, თანდილაშვილი და გადარჩენის მიზნით სადღაც წაზიდეს წიგნები. სამკითხველოს გამგემ საჩივარი აღძრა, წიგნების მოპარვა თავებს გადააბრალა და ანაზღაურება მოითხოვა. თაგვები კი ვერ დაიჭირეს და საქმე ამით მოისპო.

როგორ მოვიქცეთ ამხ. ნიანგო?

ხეველი.

# პასუხი ამხ. მიუდგომელს

მიუდგომელს (ძირულა):—[illegible] „ერთხელ მივდიოდით მე და ჩემი მეგობარი. ერთმანეთში გვქონდა ტკბილი ბაასი და საუბარი და როდესაც ჩვენ სიტყვა ვთქვით „ხულიგანი და ოხერი", —მოგვივარდა განრისხებით ყოფილი დირექტორი და შემოგვწყრა:

— მე ვარ ხულიგანი და ოხერი?

— ჩვენ თქვენზე არ ვლაპარაკობდით!

— კი ლაპარაკობდით. აბა სხვა ვისზე იტყოდით? მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! დაგვემუქრა იგი, შემოგვაგინა და წავიდა.

ნიანგო, გააგებინე, რომ ჩვენ მის შესახებ არ ვლაპარაკობდით".

ჯერ ერთი: თქვენ არ გვატყობინებთ ვინ არის ეს ყოფილი დირექტორი. მეორე... მეორე ის, რომ ჩვენც გეტყვით ერთ კურიოზს:

მეფის ჟანდარმმა ყური მოჰკრა, რომ მოქალაქემ თქვა:

— ნამდვილი დურაკია!

— თქვენ დაპატიმრებული ხართ, წამოდით საპოლიციო უბანში! — ხელი სტაცა მას ჟანდარმა.

— რატომ? — გაიკვირვა მოქალაქემ.

— მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის!

— მე არავისთვის არ მიმიყენებია შეურაცხყოფა.

— თქვენ შეურაცხყავით ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი.

— რით? — უკვირდა მოქალაქეს.

— თქვენ მას დურაკი უწოდეთ. განა ვერ გავიგონე!

— მე მასზე არ მითქვამს!

— თინები არ გაგივა. აბა სხვა ვისზე იტყოდი მაგ სიტყვას თუ არა ჩვენს ხელმწიფე იმპერატორზე? — და მოქალაქე დააპატიმრეს.

ამგვარად, ამხ. მიუდგომელო, თქვენ იოლად გამოსულხართ, გადარჩენილხართ დაპატიმრებას.

* * *

## ოთხჯერ მოვიდა ეტაპი

**(შორაპნის სადგური)**

რკინისგზელებს ფარდულში
ჭანკვეტაძე ჰყავთ ნოქრადა.
ემილიანე, ხელმარდი,
წონაში ჰქადავს ოხრადა.

ხმას არავინ სცემს, დღემუდამ
მღერის „ლალეს" და „ოლესო".
ოთხჯერ მოვიდა ეტაპი
ვერც ერთხელ გააყოლესო...

# იცნობდეთ!

ნახ. დონის.



ეი, შორსმჭვრეტი ვაჟკაცი,
მიდის და მიიმღერისა,
„შეუპოვარსა, ძლიერსა
არ ეშინია მტერისა.

მან ეს-ეხარის „ნიანგზე“
წლით ხელი მოაწერა და
კმაყოფილი გრძნობით გამღერის,
გასძახის „რაშოვ-რერადა-ს“.

(დამატებითი ცნობები იხ. 14 გვ.)

# ვაჟას საღამო

სახელოვანი მგოსნის საპატივსაცემოდ დაბა უდურთეში კლუბის გამგემ საღამო გამართა. ტფილისში დეპეშა გამოგზავნა მწერალთა კავშირის სახელზე:

**ვაჟას ლიტერატურული მოღვაწეობის ოცი წლის თავის აღსანიშნავად ვმართავთ საღამოს. გთხოვთ აცნობოთ მგოსანს დაგვესწროს.**

რასაკვირველია, ეს დეპეშა მწერალთა კავშირს არ მიუღია, რადგან, ჩვეულებისამებრ დაიკარგა.

ხალხი აურებელი მოაწყდა კლუბს.

გამგე ნერვიულობდა, რადგან ვაჟა არსად ჩანდა.

როცა ხალხმა ხმაური ატეხა, რომ საღამო დაეწყოთ, სცენაზე გამოვიდა კლუბის გამგე და გამოაცხადა:

— ამხანაგებო, ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მოღვაწეობის ოცი წლის თავის აღსანიშნავი საღამო არ შესდგება, რადგან თითონ პოეტი არ ჩამოვიდა ტფილისიდან.

ჯერ ეს ხუმრობა ეგონათ.

— დაიშალენით და როცა პოეტს ჩამოვიყვანთ, მაშინ გავმართავთ.

ახლა კი აშკარა იყო, რომ გამგე არ ხუმრობდა.

— თქვენ ნუთუ არ იცით, რომ ვაჟა აქ ოცი წლის წინად გარდაიცვალა და სწორედ ამის აღსანიშნავად იმართება ყველგან საღამოები? — შესძახეს გამგეს.

— რას ამბობთ? მართლა ოცი წლის წინად გარდაიცვალა? აბა, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ!

ასე ჩაატარა კლუბის გამგემ საღამო.

**ი. ხ.**

# კბილგასაქრავი

## ჭაიში
### (სვანეთი)

„ორსი გვქონდა და რა „ორსი“
ავ თვალს არ ენახვებოდა:
ვინ რას ქაფავდა, რას სჭამდა
გამგეს არ ენაღვლებოდა...

თითო წევრისგან შეკრიბეს
მანეთი ოცდაათიო,
გამგემ გაგლიჯა სულყველა
გაჭკრა, გამოჭკრა თათიო.

**ხაიშელი.**

## ჩხარელი „დუხტური“

ერთი ფერშალი ქალი გვყავს,
ფორჩხაძე არის გვარადა,
ვერრა გავუგეთ მაროსა:
ნამდვილია თუ — შარადა.

„ექიმი ვარო“ ტრაბახობს,
ავადმყოფს „არჩენს ადვილად“.
ფეხატკივებულ სნეულსა
კილო ტყლაპს აჭმევს სადილად.

**ნიუ.**

# წყალი შეწყდება ონკანში...

**ტფ. სახ. უნივერსიტეტის საერთო საცხ. მე-3 კორპუსის მოშლილ ონკანებში ყოველდღე წყდება წყალი. კომენდანტი სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს.**

უდგებათ ზრიალ-ტრიალი
დილით სტუდენტთა ჯარებსა;
წყალი შეწყდება ონკანში,
საპონი სტანჯავს თვალებსა.

ატყდება რბენა, ყვირილი,
ზოგი წყალს ეძებს ძირსაო,
და ბოლოს ისევ საპნიანს
შეიმშრალებენ პირსაო.

ლევინო უსვილებს კომენდანტს
ხახას რა ენაღვლებაო:
პირდასაბანად, იმისთვის
არაყიც გამოდგებაო...

**ხირა.**

# დედამ თუ შვილი გაზარდოს...

**(სოფ. სეფიეთი, აბაშის რაიონი)**

სოფლის კოპერატივის ნოქარ ბარდღო თოფურიას კოოპერატივი მთელ დღეს დაკეტილი აქვს.

დედამ თუ შვილი გაზარდოს,
გაზარდოს — ჩემისთანაო,
მე არც ხაშხაში მჭირდება,
არც ძილის პირის—ნანაო.

განცხრომით მძინავს ლოგინში,
სიზმრებს ვნახულობ თანაო,
უქმად იცდიან გლეხები
ჩემს დუქნის კარებთანაო.

იდგნენ, იცადონ, რა უშავთ, —
დიდი საქმეა განაო?!...
დედამ თუ შვილი გაზარდოს,
გაზარდოს ჩემისთანაო.

**პ. ონტოფელი.**

# ბალში ჭინჭარი ჰყვაოდა...

ხმები დადის თითქო საქ. სახკინმრეწვი თემებს ვერა შოულობდეს კინო კომედიებისათვის. ჩვენ არ შევაწუხებთ ასეთის სცენარებით, მაგრამ ერთზე კი მივუთითებთ. ამხ. სახკინმრეწველებო, თემის კრიზისს იმ დროს განიცდით როცა: ტფილისში ახლად გახსნილ ქრონიკის კინოთეატრში ასეთ ბილეთებს ყიდით:

> ზუგდიდის მაზრის კოოპერატიული
> კინო-ამხანაგობა „შუქურა“
>
> **კ ი ნ ო**
>
> ფასი **10** კ.

და: ოცდაექვს კომუნარების სახ. კინო თეატრში ასეთი რეკლამა გაქვთ გამოკიდებული:

> **„მოქალაქენო!**
> **ადგილები დანომრილია**
> **დაიკავეთ ადგილები**
> **თანახმად დანიშნული**
> **ადგილები და რიგი**
> **თქვენი ბილეთებისა“.**

სწორედ ამაზე ეთქვამთ ანდაზა: **„ბალში ჭინჭარი ჰყვაოდა, მინდორში დაიძებნენო“.**

**უ — მი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოოპ შეკეთება...



—და მისი თაყვანისმცემლები

# დიპლომატთა შორის

ნახ. ფ. ეფელის (პარიზი)



— რას ამზადებთ? ხელშეკრულების სქემის პროექტს თუ გეგმის პროექტის სქემას?
—პროექტის სქემის გეგმას!

# მიიღება ხელის მოწერა 1936 წლისათვის
## სატირულ—იუმორისტულ ჟურნალზე

# „ნიანგი“

## 1936 წელს „ნიანგი“ გამოვა ჩვეულებრივი დიდი ფორმატით.

### ჟურნალში მონაწილეობენ:

ს. თალდრია
ს. ეული (ყუმბარა)
მიხ. ჯავახიშვილი
ი. გრიშაშვილი
ს. ფაშალიშვილი (ფუნთუშა)
ნ. ლორთქიფანიძე
სერ. კლდიაშვილი
ხოხიკა
მედუზა
ი. ხინველი (სხვილი)
გ. ქურიშვილი
შალ. გაგუაძე

გრ. ცეცხლაძე
გერ. შუბაძე (ხეჯერი-ბეგ-შეიხ)
ალ. მალფულარია (ალელარ-ხალ-ლარხანი)
ხინემაკუ
კ. ალმასხიძე
კ. ბობოხიძე
შ. შხუნელი
გ. ივანიშვილი
გ. ნუცუბიძე (ტუგა)
პ. იბილი
ხამიძ-ალი

კოხტაილი
ჭაჭნელი ბიძია
შინლიინსკი ბოშბი და სხ.

მ ხ ა ტ ვ რ ე ბ ი:

ლ. გუდიაშვილი
ს. ნადარეიშვილი
დუჩი
მ. ჭიაურელი
ი. ქოქიაშვილი
ლ. შმერლინგი
ე. კრიტკაი
გ. თოიძე
გ. ისაევი და სხ.

ჟურნალზე ხელის მოწერის ფასი შემდეგია:

1 წლით—12 მან.
6 თვით — 6 მან.
3 თვით—3 მან.
1 თვით—1 მან.

ხელის მოწერა მიიღება ფოსტის და „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებებში

ქაღალდის გეგმიანი მომარაგების გამო ჟურნალის ხელზე გაყიდვა განსაზღვრულია.

---

# გორი

ბრთვება და კოხტავდება,
გარდაიქმნა ჩვენი გორი,
აღარა ჩანს შენობები
უმსგავსო და შორი-შორი.

ვოხტა ქალაქს ვიტრინები
ალამაზებს, ბკეკლუცებს,
სადგურიდან ხიდს გასცდები,
ტფილისში ხარ, ფიქრობ უცებ.

ამშვენებენ, ამწვანებენ
გუდრონებულ ფართო ქუჩებს,
მაგრამ ხელს არ დავაფარებ
აქ თუ ვინმე, ვნახე, ურჩებს.

საქებარს თუ ხოტბას ვასხამ,
დარტყმაც უნდა ნაკლს ხომ, ძია?
აბა ვნახოთ ჩვენი კინო
რას გავს, ან და რა გვნძია.

გეგმაში აქვთ შეტანილი,
მტვერი იდგეს მუდამ ისე,
რომ იქ შემსვლელს დაეკარგოს
ყველაფერის სიხალისე.

მორთულობას ნუ იკითხავთ:
დამტვრეული სკამთა გროვა.
რაღა უნდოდა, ნეტა, გამგეს
კინოში რომ შეაგროვა?

მუსიკა ხომ „ძვირფასია“.
მშვენიერი პიანინო,
თუმცა დამკვრელს მე ვერ ვუკანონ
ლუბა არის, ის თუ ნინო,

მაგრამ ვნახე „ხელოვნება“
გემოვნება დამკვრელისა,
ეკრანზე რომ ლეკურს ცეკვენ
„სერდცეს“ უკრავს მაშინ ისა.

ან თეატრზე რაღა ითქმის,
მთელი წელი ისე გადის,
იდეილობრივ დასის მიერ
არ გვინახავს ერთი დადგმა.

დირექტორო, აწ „ხუმრობა“
დაუთმინე, კმარა მგონი,
საწუნარი არის კერძი,
თუ არა აქვს ცხიმი, ქონი.

საგაზეთე ფარდულია,
ამ სახელით იცნობს გორი,
გამგე უჩინ-ჩაჩინი ჰყავს,
უნდა გითხრათ ნამდვილ-სწორი.

ხასიათზე თუ არ არის,
მოჰკეტავს და წავა შინა,
ამასწინად სრულ ორ საათს
ფარდულის წინ მაცდევინა.

აბანოში შესვლა თუ გსურს,
ჩაეწერავენ წელს რომ რიგში, —
დაბერდები, რვა თვის მოცდა
იქონიეთ თადარიგში.

აქ წერტილი დავსვათ, ძმაო,
შემდეგისთვის სხვაზედ იყოს;
გზილი ყველას უნდა ჯაჭვრა
უთავბოლოდ ვინც ჰკიკინობს.

„შინელინსკი ბოშბ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოდორი

ყვარლელს (ყვარელი):—თქვენ გვატყობინებთ, რომ:

მივიღეთ თქვენი ჟურნალის
ჩვენ მეთვრამეტე ნომერი,
მის მეხუთმეტე გვერდზე კი
ცნობაა, ამბობს რომელიც:

„მწერს ერთი ექიმი, რომელიც ყვარელის რაიონში მოღვაწეობს: „ხშირად ვაკეთებ ჩუმად აბორტს, რომელიც ძალიან ხშირად უბედურებით თავდება, მაგრამ ერთხელაც არ მიგრძვნია სინდისის ქეჯნა". სასურველია ამ ექიმის ვინაობის გაგება".

წაიკითხა თუ არა ეს ცნობა ექიმმა ბარკალაიამ, მაშინვე ხელში დაჭმუჭნა „ნიანგი" და თავისთვის ჩაილაპარაკა რაღაც, მაგრამ რა ჩაილაპარაკა, ვერ გავიგონე.

და ამიტომ თქვენ გგონიათ, რომ აღმოაჩინეთ ის ექიმი, რომელსაც შეეხებოდა ჩვენს ჟურნალში მოთავსებული ცნობა.

საჭიროა მეტი ფაქტიური მასალა ბრალდების დასამტკიცებლად.

ისრელს (ქუთაისი):—ვასრულებთ თქვენს თხოვნას და რამდენიმე სტრიქონს ვბეჭდავთ თქვენი ლექსიდან:

რწყილი ახტა, დახტა,
მივიდა ლორთან და უთხრა:
— ლორო, მომეც რქა!

„მარა. რწყილს, რომელმაც დიდი ხერხი გამოიჩინა და მეგობარი გადაარჩინა, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ და სულელად გამოგყავთ. როდის იყო, რომ ლორს რქას სთხოვდნენ? ანდა რომელი ლორი მისცემდა რქას? მასეთი ლორები არ არიან სინამდვილეში. ლორი მიტომ არის ლორი, რომ თავის კერძს არავის დაუთმობს.

ამიტომაც თქვენი წერილიც რწყილივით ახტა, დახტა და... გოდორში გადახტა.

## მარელისის ქარხანაში

ნახ. დოინის



თაგვი:—ძლივს ვიშოვნე თბილი ბინა და აქაც აღარ მაყენებენ...

## „მხედარი"

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში თუნუქის ლუმელების ნაკლებობის გამო მეურნეობის მუშკომმა ტოგო სიმონიშვილმა ორმ მარაგებლებს მოსტაცა ლუმელი და სტახანოველისაკენ გაუყენა. (ნ-ლი).



ამხ. ტ. სიმონიშვილი: — შენს დასახსნელად უკან მომდევს მთელი ლაშქარი,
გასწი, „მერანო", შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი!

# სურათების გამოფენიდან

ნახ. ...



ტორთლა

ჰე, მხატვრებო! თქვენმა ნიჭმა გამაქვავა, გამაშეშა,
ვირებს ხატავთ სილწალურს და „ტორთლას" კი აწერთ ქვეშა!

მ. შვ. რედაქტორი ს. ეული — რედაქცია ... 5 — ტელეფონი ...-2

ა. ფ. მიასნიკოვის სახ. „ზარია ვოსტოკას" ... სტამბა. შეკვ. № 3244 მთავლ. ბ—1252 ტირაჟი 1/000

ეროვნული ბიბლიოთეკა